
სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულების გრაფიკი

1. I, II და III ბლოკებში შიგა ეზოს ფასადზე ფანჯრების მონტაჟი
2. ხის აივნების დეკორატიული მოაჯირებისა და დეტალების მონტაჟი
3. I,II და III შიდა ეზოს ფასადზე სამალიარო სამუშაოების შესრულება
4. შენობის შიგა ელ. გაყვანილობის მონტაჟი
5. შენობის შიგა კედლებისა და ტიხრების გაჯით გალესვა
6. შენობის I, II და III სადარბაზოებში კიბის უჯრედების მონტაჟი
7. კიბის უჯრედების გაჯით ლესვა
8. I, II და III ბლოკებში საკანალიზაციო დგარების მონტაჟი
9. I, II და III ბლოკებში სავენტილაციო მილების მონტაჟი
10. შენობის შიგა და გარე გაზგაყვანილობის მონტაჟი
11. შენობის გარე ელ. გაყვანილობის მონტაჟი
12. შენობის შიგა და გარე წყალგაყვანილობის მონტაჟი
13. კიბის უჯრედებში ლიფტების მონტაჟი
14. შენობის ცოკოლის ბუნებრივი ქვით მოპირკეთება
15. ეზოს შესასვლელი კარებისა და ჭიშკრის მონტაჟი
16. ეზოს და შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა



მშენებელი:
შ.პ.ს. "ლაზათი და კომპანია"-ს
დირექტორი თ. ღვანიძე

დამკვეთი:
ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ს
თავმჯდომარე ლ. ღვანიძე

განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში.
2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა თავდაპირველად განსაზღვრული იყო სამშენებლო ნორმების და წესების 1.04.03-85 (გვ. 489 პ 3-ის) მიხედვით T=18 თვე, სადაც 1 თვე იყო მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლ. შეისმურობის კოეფიციენტის მიხედვით T=18 X 1,1=20 თვეს.
3. მოსამზადებელ პერიოდში განხორციელდა: დროებითი შენობების აგება, ნაგვის გატანა, საპროექტო ქსელების გაყვანა, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და წყლით.
4. ქვაბულის დამუშავების დროს გრუნტის ძირითადი ნაწილი ამოღებული და გატანილი იქნა მექანიზმების გამოყენებით. თერიტორიაზე გამავალი მიწისქვეშა კომუნიკაციების გამო საჭირო გახდა ქვაბულმნიშვნელოვანი ნაწილის ხელით დამუშავება, დაზიანებული კომუნიკაციების წყლების მოსაშორებელი სადრენაჟო სისტემის მოწყობა შენობის ნახევარზე მეტ პერიმეტრზე. ობიექტთან მისასვლელი ვიწრო გზების გამო მშენებლობის წარმოება მიმდინარეობს მცირე მექანიზმების გამოყენებით-ეტაპობრივად.
5. სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შეფერხება გამოიწვია ომმა და ფინანსურმა კრიზისმა. მშენებლობა შეჩერდა 2010 წლის შემოდგომაზე და განახლდა 2012 წლის აპრილში.
6. 2011 წელს პროექტს გაუკეთდა მნიშვნელოვანი კორექტირება რის გამოც 2011 წლის 10 ივლისს გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. ამ პერიოდისათვის ჩვენს მიერ წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით მშენებლობის დამთავრების ვადად განსაზღვრული იყო 2012 წლის ბოლო. კორექტირებული პროექტის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა მის როგორც კონსტრუქციულ სამშენებლო ნაწილში ასევე ფასადების მოპირკეთებასა და ხის აივნების დიზაინში. შენობას გააჩნია ხის 25 ცალი აივანი – ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი ყველა დეტალით, რაც მოითხოვს მათ მაგალხარისხოვანი ხის მასალებით მონტაჟსა და მოპირკეთებას, შესაბამისად დროს. ამჟამად დამონტაჟებულია ყველა აივანი და მიმდინარეობს მუშაობა მათ მოპირკეთებაზე. შენობის სამ ძირითად ფასადზე დამონტაჟებულია კარ-ფანჯრები და ვიტრეჟები. მთავრდება ფასადების აგურით მოპირკეთების სამუშაოები. ძირითად ფასადებზე დასრულებულია სამალიარო სამუშაოები. სახლის სრულად საექსპლოტაციოდ გამზადებას დასჭირდება 6 თვე. გთხოვთ გაგვიგრძელოთ მშენებლობის ნებართვა 2013 წლის ივლისამდე.

პროექტის მთავარი არქიტექტორი: _____ თ. ღვანიძე